სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

17 ოქტომბერი, 2025 წ.

ბრძანება N 01-10/82

ბსუ-ს სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე–15 მუხლის, ,,ბსუ-ში სასწავლო სოციალური პროგრამის სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის №07-01/23 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 11 დეკემბრის N07-01/69 გადაწყვეტილების, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 17 ოქტომბრის №1361309 სამსახურებრივი ბარათის და რექტორის თანხმობის (ვიზირების) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **გამოცხადდეს კონკურსი** ბსუ-ს სასწავლო სოციალური პროგრამის **„სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“** (შემდეგში - პროგრამა) 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში განხორციელების მიზნით.
2. პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა სწავლის საფასურში განსახორციელებელი შეღავათის საერთო მოცულობა განისაზღვროს **15 075 ლარით,** მათ შორის:
   ა) პირველი კატეგორიის შეღავათის (სემესტრული სწავლის საფასურის 100%) მინიჭებისათვის - 5625 ლარი;
   ბ) მეორე კატეგორიის შეღავათის (სემესტრული სწავლის საფასურის 70%) მინიჭებისათვის - 5 512,5 ლარი;
   გ) მესამე კატეგორიის შეღავათის (სემესტრული სწავლის საფასურის 35%) მინიჭებისათვის - 3 937,5 ლარი.
3. **კონკურსის ჩატარების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:**

ა) ბსუ-ს სტუდენტთა განცხადებებისა და დოკუმენტაციის წარმოდგენა - 2025 წლის **27 ოქტომბრიდან 10 ნოემბრის ჩათვლით;**

ბ) წარმოდგენილი განცხადებებისა და დოკუმენტაციის საკონკურსო კომისიის მიერ განხილვა - 2025 წლის 11-17 ნოემბერი;

გ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება კომისიის სამუშაო ადგილზე (ბსუ-ს II კორპუსში (ბათუმი, რუსთაველის ქ. N32) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სამუშაო ოთახთან) და ბსუ-ს ვებგვერდზე - არაუგვიანეს 2025 წლის 19 ნოემბერი;

დ) შეღავათის მინიჭების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **ბრძანების გამოცემა - არაუგვიანეს 2025 წლის 21 ნოემბერისა.**

4. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ბსუ-ს სტუდენტებმა დადგენილ ვადებში ელექტრონულად, **ბსუ-ს პორტალზე - Portal.bsu.edu.ge-ზე** (ველის - ,,წერილი კანცელარიას" მეშვეობით) **უნდა წარადგინონ:**

ა) განცხადება (შევსებული წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული ფორმით - **დანართი 1);**

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) და დაბადების მოწმობის ასლი (დედანი წარედგინება საკონკურსო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში);

გ) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ (ცნობა გაიცემა მხოლოდ სტუდენტის აქტიურ სტატუსში მყოფ პირებზე);

დ) **სოციალური კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტაცია** (რაც გათვალისწინებულია ,,ბსუ-ში სასწავლო სოციალური პროგრამის სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის №07-01/23 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის/პროგრამის მე-3 მუხლით), **გაცემული საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის ამოწურვამდე 1 თვის ვადაში.**

5. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხულ, საქართველოს მოქალაქეობის მქონე ბსუ-ს საბაკალავრო, მედიცინის/სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს, **სწავლების მე-2 სემესტრიდან.**

6. **კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლია:**

ა) დამატებითი სემესტრის (სწავლის ვადაგაგრძელებულ) სტუდენტებს;

ბ) სტუდენტს, რომელსაც წინა სემესტრის მონაცემებით არ აქვს ათვისებული **სულ მცირე 25 კრედიტი;**

გ) სტუდენტს, რომელმაც წინა სემესტრის მონაცემებით შეასრულა შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამის მოთხოვნები და მიენიჭა (ან უნდა მიენიჭოს) აკადემიური ხარისხი.

7. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარებისათვის შეიქმნას **საკონკურსო კომისია** წინამდებარე ბრძანების **N2 დანართის** შესაბამისად.

8. კომისიამ იხელმძღვანელოს წინამდებარე ბრძანებითა და ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის №07-01/23 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში სასწავლო სოციალური პროგრამის სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში განხორციელების წესით".

9. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა უზრუნველყოს შესაბამისი აქტივობების განხორციელება, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის №07-01/23 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში სასწავლო სოციალური პროგრამის სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში განხორციელების წესის" და წინამდებარე ბრძანების მოთხოვნათა დაცვით (კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების ტექსტის მომზადება და ბსუ-ს ვებგვერდზე და

პორტალზე განთავსებისათვის წარდგენა, საკონკურსო კომისიის მუშაობის მხარდაჭერა, სტუდენტთა კონსულტირება და სხვა).

10. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, (ველში ,,სწავლა" და ,,კონკურსები") და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილას.
11. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, რექტორის აპარატს, ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელერია) და კომისიის წევრებს.
12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე

,,ბსუ-ს სასწავლო სოციალური პროგრამის
„სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში 2025-2026 სასწავლო წლის
შემოდგომის სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 17 ოქტომბრის **N** 01-10/82 **ბრძანების**
დანართი 1

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს

_____

(ფაკულტეტი)

_____

(საგანმანათლებლო პროგრამა და სწავლების წელი)

_____

(სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მსურს მონაწილეობა მივიღო ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით გამოცხადებულ და 2025 წლის ნოემბერში ჩასატარებელ კონკურსში 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სწავლის საფასურში შეღავათის მიღებისათვის.

ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის №07-01/23 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში სასწავლო სოციალური პროგრამის სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში განხორციელების წესის“ (შემდეგში - წესი) თანახმად შესაძლებელია მომენიჭოს შეღავათი სწავლის საფასურში იმ ფაქტობრივი გარემოების (სოციალური კატეგორიის) გათვალისწინებით, რომ ვარ:
(შენიშვნა: <u>მონიშნეთ შესაბამისი პუნქტი/პუნქტები)</u>

- ა) სტუდენტი, რომელიც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანი ან მათი შვილი ან/და არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილის შვილი;
- ბ) სტუდენტი, რომელიც არის მარტოხელა მშობელი ან თავად არის ან იყო მარტოხელა მშობლის შვილი **(შენიშვნა:** ხაზი გაუსვით შესაბამის ფაქტობრივ გარემოებას);
- გ) სტუდენტი, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000-ზე; **(შენიშვნა:** მიუთითეთ შესაბამისი ქულა)
- დ) სტუდენტი, რომელიც იმყოფება ან **ბოლო 3 წლის განმავლობაში** იმყოფებოდა **სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ** (სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელთან,

მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და დაფინანსების წყაროსი)/**მინდობით აღზრდაში (შენიშვნა:** ხაზი გაუსვით შესაბამის ფაქტობრივ გარემოებას);

- ე) სტუდენტი, რომელიც არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრი; **(შენიშვნა:** მიუთითეთ შვილების რაოდენობა)
- ვ) სტუდენტი, რომელსაც მინიჭებული აქვს იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის სტატუსი;
- ზ) სტუდენტი, რომელსაც მინიჭებული აქვს ეკომიგრანტის (სტიქიით დაზარალებული) სტატუსი;
- თ) სტუდენტი, რომლის და/ძმა/მეუღლე ასევე არის ბსუ-ს სტუდენტი.
- ი) სტუდენტი, რომელიც არის დედით ან მამით ობოლი (შენიშვნა: ხაზი გაუსვით შესაბამის ფაქტობრივ გარემოებას);

განცხადებას თან ერთვის:

1. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) და დაბადების მოწმობის ასლი (დედანს წარვუდგენ საკონკურსო კომისიას, მოთხოვნის შემთხვევაში);
2. ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ;
3. ჩემ მიერ წინამდებარე განცხადებაში მითითებული (მონიშნული) ფაქტობრივი გარემოების (სოციალური კატეგორიის) დამადასტურებელი დოკუმენტაცია (რაც გათვალისწინებულია ,,ბსუ-ში სასწავლო სოციალური პროგრამის სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის №07-01/23 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის/პროგრამის მე-3 მუხლით), კერძოდ:

   3.1.----------

   3.2. ----------

თანხმობას ვაცხადებ ბსუ-მ დაამუშაოს ჩემი პერსონალური მონაცემები (განიხილოს, განთავსდეს/გასაჯაროვდეს ინფორმაცია ბსუ-ს ვებგვერდზე/სოციალურ ქსელში ან/და სხვა საინფორმაციო რესურსებზე, კონკურსის შედეგად გამოვლენილი შეღავათის მინიჭების თაობაზე) ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით გამოცხადებული კონკურსისა და ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის №07-01/23 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის მოთხოვნათა აღსრულების მიზნით.

დანართი: —— ფურცელი.

განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:

სარეგისტრაციო/საცხოვრებელი მისამართი

(ქალაქი, სოფელი, ქუჩა/დასახლება/N) _____

მობილური: _____

ელექტრონული ფოსტა _____

(ხელმოწერა) _____

_____ (თარიღი)

,,ბსუ-ს სასწავლო სოციალური პროგრამის
„სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში 2025-2026 სასწავლო წლის
შემოდგომის სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 17 ოქტომბრის N01-10/82 **ბრძანების**

დანართი 2

2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სწავლის საფასურში შეღავათის მიღებისათვის.ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით გამოცხადებული და 2025 წლის ნოემბერში ჩასატარებელი კონკურსის
საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:

1. ლევან ტარიელაძე – ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი **(კომისიის თავმჯდომარე);**
2. თეონა დუმბაძე - ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი **(კომისიის მდივანი);**
3. ამირან შარაძე - ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის წევრი);
4. გოგა ბაუჟაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (კომისიის წევრი);
5. გიორგი დიასამიძე – ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (კომისიის წევრი);
6. ირმა დიასამიძე – ბსუ-ს საფინანსო–ეკონომიური დეპარტამენტის აღრიცხვა - ანგარიშგების სამსახურის სწავლის საფასურის ადმინისტრირების მენეჯერი - (კომისიის წევრი);